ხის ბიჭუნა

წაგიკითხავს წიგნი პინოქიოს შესახებ? ეგებ ფილმიც გინახავს? შენი აზრით, რატომ უყვართ პინოქიო ბავშვებს?

პინოქიო ხის პატარა ბიჭუნაა. წიგნი მის შესახებ კარლო კოლოდიმ დაწერა.

ცნობილია, რომ მოთხრობა ჯერ ნაწილ-ნაწილ იბეჭდებოდა. ყოველი ნაწილის წაკითხვის შემდეგ, ბავშვები წერილს უგზავნიდნენ კოლოდის. ისინი ამბის გაგრძელებას სთხოვდნენ. ასე დაიწერა წიგნი „პინოქიოს თავგადასავალი“.

„პინოქიო“ ერთ წიგნად პირველად 1883 წელს გამოვიდა. მას შემდეგ იგი **მრავალ** ენაზე ითარგმნა. გადაიღეს არაერთი მხატვრული და **ანიმაციური** ფილმი. დღემდე ხის ბიჭუნა მთელ მსოფლიოში ბავშვების საყვარელი გმირია.

იტალიაში პინოქიოს სახელობის პარკია. პარკს უკვე 8 მილიონზე მეტი ადამიანი ესტუმრა. იქვე ბიჭუნას **ქანდაკებაც** დგას. მასზე ასეთი წარწერაა: „უკვდავ პინოქიოს 4-იდან 70 წლამდე ასაკის **მადლიერი** მკითხველისგან“. ამ სიტყვებიდან კარგად ჩანს, რომ პინოქიო ერთნაირად უყვართ პატარებსა და უფროსებს.

შენი აზრით, როგორ ერთობიან ადამიანები პინოქიოს პარკში?

დონე: *A* გარდამავალი, **კომპონენტი:** *მიზეზი, შედეგი*

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 მეორე აბზაციდან ვიგებთ, თუ:

ა) რატომ იბეჭდებოდა „პინოქიო“ ნაწილ-ნაწილ.

ბ) რატომ მოსწონდათ ბავშვებს „პინოქიო“.

გ) რატომ სწერდნენ ბავშვები ავტორს წერილს.

2 საიდან ჩანს, რომ იტალიელებს ძალიან უყვართ პინოქიო?

ა) „პინოქიო“ ერთ წიგნად დაბეჭდეს.

ბ) პინოქიოზე მხატვრული ფილმი გადაიღეს.

გ) პინოქიოს ძეგლი დაუდგეს იტალიაში.

3 ხის ბიჭუნას ძეგლზე გაკეთებული წარწერიდან ვიგებთ:

ა) თუ რამდენი მკითხველი ჰყავს „პინოქიოს“.

ბ) როდის დადგეს პინოქიოს ძეგლი პარკში.

გ) რომ „პინოქიოს“ ყველა ასაკის მკითხველი ჰყავს.

4 რის შესახებ *<u>არ არის</u>* საუბარი ტექსტში?

ა) პირველად როდის დაიბეჭდა წიგნი პინოქიოს შესახებ.

ბ) პირველად სად გადაიღეს პინოქიოზე ფილმი.

გ) რამდენმა ადამიანმა მოინახულა პინოქიოს პარკი.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. „პინოქიო“ **<u>მრავალ</u>** ენაზე ითარგმნა.
   ა) ბევრ. ბ) ზოგ. გ) ყველა.

2. იტალიაში არის პინოქიოს **<u>ქანდაკება</u>**.
   ა) მოედანი. ბ) მუზეუმი. გ) ძეგლი.

3. პინოქიოს **<u>მადლიერი</u>** მკითხველები ჰყავს.
   ა) კმაყოფილი. ბ) კეთილი. გ) პატარა.

2 რომელია ზედმეტი სიტყვა?

ა) გამოვიდა. ბ) გამოიცა. გ) დაიბეჭდა. დ) დაიწერა.

3 ამოიწერე ტექსტიდან, რა ჰქვია ნახატ ან თოჯინურ ფილმს.

ასეთ ფილმს ჰქვია ----------.

▶▶▶ გრამატიკა

1 1. რომელი სიტყვაა გამოტოვებული?

1. „პინოქიო“ ერთ ---------- გამოვიდა 1883 წელს.
   ა) წიგნად. ბ) წიგნის. გ) წიგნს.

2. ხის ბიჭუნას ---------- მიხედვით ფილმი გადაიღეს.
   ა) თავგადასავალი. ბ) თავგადასავალს. გ) თავგადასავლის.

3. პინოქიო კარლო ---------- დაწერა.
   ა) კოლოდი. ბ) კოლოდიმ. გ) კოლოდის.

გრამატიკა

3 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვა.

1. ბავშვები პინოქიოს პარკს ----------. *(სტუმრობს/სტუმრობენ)*

2. ყველა ბავშვი სიამოვნებით ----------. „პინოქიოს“ *(კითხულობს/კითხულობენ)*

3. დიდსა და პატარას ---------- ,,პინოქიო“. *(უყვარს/უყვართ)*

2 დაწერე მრავლობით რიცხვში.

ნიმუში: ამბავი – ამბები.

1. მწერალი – ---------- . 2. კედელი – ---------- .

წერა

1 წაგიკიხავს „პინოქიოს თავგადასავალი“ ან გინახავს ფილმი? დაწერე, რით არის ის საინტერესო.

_____

_____

_____

_____

2 წარმოიდგინე, როგორია პინოქიოს პარკი და აღწერე იგი. დაწერე, რით ერთობიან ამ პარკში ბავშვები.

_____

_____

_____

_____

_____

_____